# KAKABADZE 130

დავით კაკაბაძის ფონდი, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ - მუზეუმი, ბაია გალერეა და თიბისი სტატუსი  გიწვევთ დავით კაკაბაძის გამოფენის გახსნაზე, რომელიც აერთიანებს მხატვრის ნამუშევრებს კერძო კოლექციებიდან. გამოფენაზე დამთვალიერებელი იხილავს სხვადასხვა პერიოდში შექმნილ ნამუშევრებს, მათ შორის – პარიზის პერიოდს, სოცრეალიზმისა და იმერეთის სერიებს.

გამოფენა წარმოადგენს "დავით კაკაბაძე – 130" გრძელვადიანი საიუბილეო პროგრამის ნაწილს, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს. წინანდლის ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილი ექსპოზიცია, რომლის საგამოფენო კოლექციას „ბაია გალერეა" წარმოადგენს, ფართო საზოგადოებისთვის აქამდე უცნობ ნამუშევრებს აერთიანებს.

დავით კაკაბაძე ქართული მოდერნისტული ხელოვნების ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება. ამავდროულად, ის ხელოვნებისა და მეცნიერების სინთეზზეც მუშაობდა. მისი ნამუშევრები ხელოვნების ისტორიისა და კულტურის შესწავლის შედეგადაა შექმნილი. ქართული ხელოვნების ფორმის განახლებისთვის კაკაბაძემ თავის შემოქმედებაში დასავლური და აღმოსავლური კულტურების სხვადასხვა იდეებს მოუყარა თავი. გამოფენის მიზანია კაკაბაძის მემკვიდრეობის უცნობი ასპექტების აღმოჩენა.

წინანდლის ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილი გამოფენა კიდევ უფრო აფართოებს ჩვენს წარმოდგენას დავით კაკაბაძის შემოქმედებაზე და გვთავაზობს ფართო საზოგადოებისთვის აქამდე უცნობ ნამუშევრებს. ამ გზით, დავით კაკაბაძის ფონდი ცდილობს, სრული წარმოდგენა შექმნას მხატვრის შემოქმედების მნიშვნელობასა და განვითარების პერსპექტივებზე ქართული ხელოვნების ისტორიაში.

The David Kakabadze Foundation within the framework of the Tsinandali Festival, with the support of TBC Status, is presenting an exhibition combining the works of Kakabadze from various private collections. Exhibition visitors will be able to see the works from Paris and the social realism periods, Imereti series and single graphic sketches.

David Kakabadze is considered one of the founders of Georgian modernist art. He also worked to combine the art and science. His works are founded on the knowledge gained from art history and culture studies. To revive the form of Georgian art, Kakabadze brought together various ideas from Western and Eastern cultures in his art.

The exhibition is a part of David Kakabadze's 130th anniversary long-running series. This is the currently ongoing year-long project and aims to uncover unknown aspects of Kakabadze's legacy, increase availability of a broader collection and reconsider separate historical narratives.

The exhibition planned within the framework of Tsinandali Festival, expands our understanding of David Kakabadze's works and presents the works unknown to the public. In this way, the David Kakabadze Foundation seeks to create a broader vision about his significance and development in Georgian art history.

KAKABADZE 130



**დავით კაკაბაძე, პარიზი,** 1926
**DAVID KAKABADZE, PARIS**

## დავით კაკაბაძე

დავით კაკაბაძე – ქართველი ხელოვანი, მეცნიერი, გამომგონებელი, ხელოვნების კრიტიკოსი და მკვლევარი დაიბადა 1889 წელს, საქართველოში. ადრეული ასაკიდან დაინტერესებული იყო ხელოვნებით, ქართული ხუროთმოძღვრებისა და ბუნების კვლევით. მოგვიანებით სწავლობდა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე – საბუნებისმეტყველო მიმართულებით.

დავით კაკაბაძე სტუდენტობის პერიოდში დასავლეთევროპული მხატვრობის მიმდინარეობებსა და უახლეს ტენდენციებს გაეცნო. საკუთარ კვლევებსა და ძიებას 1919-1927 წლებში, საფრანგეთში ცხოვრებისას, ფართო მასშტაბი მისცა. ამ პერიოდში შეიქმნა ბრეტანის სერია, პარიზული ჩანახატები, კონსტრუქტივისტული და აბსტრაქტული ნამუშევრები. ამავდროულად, კაკაბაძე აგრძელებდა სამეცნიერო კვლევებს – მუშაობდა ელექტრომოდიფიცირებად ნათურაზე, შექმნა სტერეო კინოაპარატი, რომელზედაც მრავალი ქვეყნის პატენტი მიიღო. საფრანგეთში ცხოვრებისას აგრძელებდა თეორიული ნაშრომების გამოქვეყნებას, რომელშიც ქართული მოდერნისტული ხელოვნების გზის ასახვა და ქართული კულტურის ანალიზი სცადა. სამშობლოში დაბრუნებული დავით კაკაბაძის იდეები ერთდროულად თავს უყრის ქართული კულტურის ტრადიციებსა და მოდერნისტულ კვლევა-ძიებას. ამავე დროს, მისთვის ხელოვნების ნიმუში დასრულებულ პროდუქტს წარმოადგენს, რომელსაც წინ უძღვის მისი ისტორიული და მატერიალური ანალიზი. დავით კაკაბაძის იდეები ქართული ხელოვნების შესახებ გადმოცემულია მის საავტორო ჟურნალში „შვიდი მნათობი" და თეორიულ ნაშრომებში. კაკაბაძე არ ისაზღვრება ერთი კონკრეტული მედიით და მუშაობს თეატრისა და კინოს მხატვრობაზე, სინათლის ხელოვნებაზე, ფოტოგრაფიაზე, ქანდაკებაზე და ა.შ. ის ასევე დაინტერესებულია XIX-XX საუკუნეების ფილოსოფიით და ხელოვნებას განიხილავს იდენტობისა და კულტურული ცვლილებების საშუალებად. ამ ძიებებში ჩნდება ძლიერი ინტერესი დასავლური და აღმოსავლური კულტურების სინთეზის მიმართ. დღეს, 130 წლის შემდეგ, დავით კაკაბაძის მემკვიდრეობისა და საარქივო მასალების გაცნობა კიდევ უფრო გვაახლოებს საკუთარ წარსულთან. ამავდროულად, ეს მასალა გვთავაზობს ხელოვნებისა და მეცნიერების ისეთ სინთეზს, რომელიც თანამედროვე ხელოვნებისთვის კვლავაც აქტუალურია.

## DAVID KAKABADZE

David Kakabadze, Georgian artist, scientist, inventor, art critic and researcher was born in Georgia in 1889. From an early age he was interested in art, Georgian architecture and nature. Later, he studied at the Department of Natural Sciences of the Faculty of Physics and Mathematics. David Kakabadze got acquainted with the movements and latest trends of Western European art during his studies. These researches gained a larger scale during living in France from 1919 to 1927. During this period, the Breton series, Parisian sketches, constructivist and abstract works were created. At the same time, Kakabadze continued his scientific research. He worked on modifiable electric lighting, created a stereo cinematography projector device and patented in a number of countries. While living in France, he continued to publish theoretical papers attempting to reflect on the path of modernist Georgian art and to analyze Georgian culture.

The ideas of David Kakabadze, when he returned to his homeland, incorporated the traditions of Georgian culture and research of modernism. At the same time, for him, the work of art was a finished, full product, preceded by his historical and materialistic analysis. David Kakabadze's ideas on Georgian art are fully presented in his magazine "Seven Luminaries," as well as in his theoretical papers. He did not limit his interests to one particular medium and worked on theater and film painting, art of lighting, photography, sculpture, etc. At the same time, he was interested in 19th-20th-century philosophy and considered art as a part of identity and a mean for cultural change. There is a strong interest in these searches for the synthesis of Western and Eastern cultures.

Today, 130 years later, coming across David Kakabadze's legacy and archived materials draws us closer to pur own past, at the same time offers a synthesis of art and science that remains important and relevant to contemporary art.

## „დავით კაკაბაძე – 130“ კერძო კოლექციებიდან

კერძო კოლექციებში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია დაცული. ამ ნამუშევრების უმრავლესობა, ხშირ შემთხვევაში, რარიტეტულია – მხატვრული, სტილისტური თუ ეპოქალური მნიშვნელობით და კოლექციის ფარული სივრციდან მათი „გამოყვანა“, შესწავლა, გამოფენა და პოპულარიზაცია კულტურის კვლევის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. „ბაია გალერეა“ უკვე 27 წელია იკვლევს საქართველოს და უცხოეთის კერძო კოლექციებში გაფანტულ ქართულ განძს. გალერეის პროექტი „კოლექციიდან კოლექციამდე“ ამ კვლევის შედეგად მოპოვებულ 5000-მდე ფოტონიმუშს და საინფორმაციო მასალას მოიცავს, რომლის პერიოდული ექსპონირება ხშირად აღმოჩენის სტატუსს იძენს და ქართული კულტურის ისტორიული პროცესის მოდელს ააქტიურებს.

გამოფენა „დავით კაკაბაძე – კერძო კოლექციებიდან“ მხატვრის შემოქმედების სხვადასხვა პერიოდს მოიცავს– ევროპული ავანგარდიდან სოცრეალიზმამდე და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მხატვრის თითოეული ნამუშევარი უზარმაზარ ისტორიულ და კულტურულ ინფორმაციას იტევს. სამი სხვადასხვა კოლექციიდან მოპოვებული ეს მცირე ექსპოზიცია საერთაშორისო ხელოვნების სივრცეში მხატვრის მიერ განვლილი პარიზი - თბილისის კულტურული მარშრუტის სხვადასხვა მიმართულებებს წარმოაჩენს და გვარწმუნებს, რომ კოლექციონერობა შესანიშნავი სტიმულია კულტურის განვითარების პროცესისთვის.

**ბაია წიქორიძე**
„ბაია გალერეა“

## "DAVID KAKABADZE – 130" FROM THE PRIVATE COLLECTIONS

A significant part of Georgian cultural heritage is preserved in private collections. Most of these works are often a rarity – in terms of their artistic, stylistic or epochal significance. Taking them into the light, exploration, exhibition and popularization is an inevitable path for cultural studies.

Baia Gallery has been researching Georgian "treasures" scattered in private collections in Georgia and abroad for 27 years. The gallery project "From Collection to Collection" comprises about 5,000 photographs and information material gained through this study. Periodical exhibitions serve as discoveries, activating a model of the historical process of Georgian culture.

The exhibition "David Kakabadze - From Private Collections" covers various periods of the artist's career: starting with European avant-garde to social realism and proves once again that the artist's each work holds a huge amount of historical and cultural information. This small exhibition from three different collections, reveals different directions of the cultural route between Paris and Tbilisi, covered by the artist within the international space of art. It is a good illustration that art collecting is an excellent stimulator of the cultural processes.

**Baia Tsikoridze**
Baia Gallery



**„დეკორატიული მოტივი“** 1927
მუყაო, ზეთი

**"DECORATIVE MOTIF"**
OIL ON CARDBOARD, 53X68CM

**კერძო კოლექცია; წარმოადგენს ბაია გალერეა**
**PRIVATE COLLECTION; COURTESY BY BAIA GALLERY**





**კერძო კოლექცია; წარმოადგენს ბაია გალერეა**
**PRIVATE COLLECTION; COURTESY BY BAIA GALLERY**

**„დეკორატიული მოტივი“** 1927
მუყაო, ზეთი

**"DECORATIVE MOTIF"**
OIL ON CARDBOARD, 33,5X52,5CM.



**სერიიდან "სივრცე, ხაზი ფერი"** 1926
ქაღალდი, შერეული ტექნიკა

**FROM THE SERIES "SPACE, LINE, COLOR"**
MIXED MEDIA ON PAPER, 22X31CM.

**კერძო კოლექცია; წარმოადგენს ბაია გალერეა**
**PRIVATE COLLECTION; COURTESY BY BAIA GALLERY**





**კერძო კოლექცია; წარმოადგენს ბაია გალერეა**
**PRIVATE COLLECTION; COURTESY BY BAIA GALLERY**

**სერიიდან "სივრცე, ხაზი ფერი"** 1926
ქაღალდი, გუაში

**FROM THE SERIES "SPACE, LINE, COLOR"**
GOUACHE ON PAPER, 25X32CM.



**სერიიდან "სივრცე, ხაზი ფერი"** 1926
ქაღალდი, გუაში

**FROM THE SERIES "SPACE, LINE, COLOR"**
GOUACHE ON PAPER, 24X32CM.

**კერძო კოლექცია; წარმოადგენს ბაია გალერეა**
**PRIVATE COLLECTION; COURTESY BY BAIA GALLERY**





**"ბრეტანი"** 1921
ქაღალდი, აკვარელი

**კერძო კოლექცია; წარმოადგენს ბაია გალერეა**
**PRIVATE COLLECTION; COURTESY BY BAIA GALLERY**

**"BRETAGNE"**
WATERCOLOR ON PAPER, 28X22,5CM.



“ბრეტანი” 1921
ქაღალდი, აკვარელი

“BRETAGNE”
WATERCOLOR ON PAPER, 24X32CM.

კერძო კოლექცია; წარმოადგენს ბაია გალერეა
PRIVATE COLLECTION; COURTESY BY BAIA GALLERY




სერიიდან “პარიზი”1920
ქაღალდი, სანგინა

FROM THE SERIES “PARIS
SANGUINE ON PAPER, 23X18CM .

კერძო კოლექცია; წარმოადგენს ბაია გალერეა
PRIVATE COLLECTION; COURTESY BY BAIA GALLERY



**სერიიდან "პარიზი"** 1920
ქაღალდი, სანგინა

**FROM THE SERIES "PARIS**
SANGUINE ON PAPER, 23X18CM .

**კერძო კოლექცია; წარმოადგენს ბაია გალერეა**
**PRIVATE COLLECTION; COURTESY BY BAIA GALLERY**





**კერძო კოლექცია; წარმოადგენს ბაია გალერეა**
**PRIVATE COLLECTION; COURTESY BY BAIA GALLERY**

**"იმერული პეიზაჟი"** 1915
ტილო, ზეთი

**"LANDSCAPE OF IMERETI"**
OIL ON CANVAS MOUNTED ON CARDBOARD, 28X39CM.



"იმერეთი" 1934
მუყაო, ტილო, ზეთი

"IMERETI"
OIL ON CANVAS MOUNTED ON CARDBOARD, 28X39CM.

კერძო კოლექცია; წარმოადგენს ბაია გალერეა
PRIVATE COLLECTION; COURTESY BY BAIA GALLERY





"გუმბრინის დამუშავება ქუთაისის მიდამოებში" 1951
მუყაო, ზეთი

"PROCESSING GUMBRINE IN THE VICINITY OF KUTAISI"
OIL ON CARDBOARD, 50X70CM.

კერძო კოლექცია; წარმოადგენს ბაია გალერეა
PRIVATE COLLECTION; COURTESY BY BAIA GALLERY



**“ქვის სამტეხლო ყაზბეგში”** 1949
ფირფიცარი, ზეთი

**“MINING AT KAZBEGI”**
OIL ON PLYWOOD, 70X49,5CM.

**კერძო კოლექცია; წარმოადგენს ბაია გალერეა**
**PRIVATE COLLECTION; COURTESY BY BAIA GALLERY**

თიბისი სტატუსი

DAVID KAKABADZE FOUNDATION

Silk Road Group

TSINANDALI ESTATE

BAIA GALLERY • ბაია გალერეა

საინფორმაციო უზრუნველყოფა: ბაია გალერეა
ფოტო: გია ჩხატარაშვილი

Informational Service: Baia Gallery
Photo: Gia Chkhatarashvili

ტექსტის ავტორი: დავით კოროშინაძე
Text by David koroshinadze

2019